№ 77

პარასკევი, 9 აპრილი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 77

პარასკევი, 9 აპრილი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ხ ე ლ-ა ხ ლ ა დ**

გამართულ იქმნა მაღაზია

**ე. ფ. ლანკოსი,**

სადაც გძდელზედ გასაკრავი ქაღალდი (შპალიერი) ისყიდება.

სასახლის ქუჩა, ახალი სახლი სარაჯიშვილისა. მაღაზიამ მიიღო მრავალი შპალიერი რუსულ და უცხო ქვეყნის ფირმებისაგან და მისი მოსართავები.

ფასი იმდენად იაფია, რომ მეტოქეობას ვერც ერთი ვაჭარი ვერ გაუწევს. (3—212—1).

**ე ქ ი მ ი**

**კ. ი. გძელიშვილი**

მ ი ი ღ ე ბ ს

ყელის, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—29)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტ-სევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გუკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

## ახალი ამბავი

*** „ივერიის“ გუშინწინდელ ნომერში დაბეჭდილი გვქონდა „წერილი ფოთიდგან“, სადაც, სხვათა შორის, მოყვანილია შინაარსი იმ დეპეშისა, რომელიც გზათა მინისტრს გაუგზავნეს ფოთის ნავთ-სადგურზე მუშაობის დაწყებისა გამო. ბატონ მინისტრს სიამოვნებით მიუღია დეპეშა და შემდეგი პასუხი გამოუგზავნია.

„დიდად გმადლობთ ფოთის ნავთსადგურის შუაგულ აუზიდგან მიწის ამომღებ მუშაობის დაწყებისა შესახების დეპეშისათვის. გისურვებთ სრულს წარმატებას. გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი“.

*** 8 ამა აპრილს თავად-აზნაურთა კრებულის მიერ არჩეულ იქმნენ ბანკის წარმომადგენლები დანარჩენ მაზრებისაგან.

I) დუშეთის მაზრისა: ამომრჩეველი იყო 13 თავად-აზნაური და ამორჩეულ იქმნენ რწმუნებულად: 1) ყარანგოზიშვილი გ. ა., 2) ქილაშვილი კ. ბ., 3) რატიშვილი ნ. ს., 4) გედევანიშვილი ვ. მ., 5) რატიშვილი თ. დ. ი., 6) რატიშვილი თ. ბ. ი., 7) რატიშვილი ი. გ., 8) ერისთავი თ. ზ. ე., 9) ზანდუკელი გ. ო., 10 ერისთავი თ. ლ. ა., 11) ხიმშიაშვილი თ. ნ. გ., 12) ერისთავი თ. შ. რ., 13) გედევანიშვილი დ. ა., 14) გედევანიშვილი მ. ა., 15) ყაზბეგი ი. ნ., და კანდიდატებად: 1) გედევანიშვილი ზ. ზ., 2) კობიაშვილი მ. გ., 3) კობიაშვილი ზ. ს., 4) ყარანგოზიშვილი ი. გ., 5) ერისთავი თ. ი. გ., 6) გედევანიშვილი ლ. ი., 7) რატიშვილი თ. გ. ი., 8) ფავლენიშვილი თ. ლ. ა., 9) ციციშვილი თ. ლ. მ.

II) ბორჩალოს მაზრისა: ამომრჩეველი იყო 16 თავად-აზნაური, ამორჩეულ იქმნენ რწმუნებულად: 1) აბხაზი თ. გ. დ., 2) მელიქიშვილი თ. დ. ზ., 3) ჯამბაკურ ორბელიანი თ. მ. ი., 4) ჯამბაკურ-ორბელიანი თ. ა. ი., 5) საგინაშვილი ი. ბ., კანდიდატებად: 1) მელიქიშვილი თ. გ. მ., 2) ედიგაროვი სადიხ-ბეკი და 3) შანშიევი ი. შ.

III) თელავის მაზრისა: ამომრჩეველი იყო 14 თავად-აზნაური და ამორჩეულ იქმნენ რწმუნებულად: 1) მაყაშვილი თ. დ. ს., 2) ჭავჭავაძე თ. ზ. გ., 3) ჩოლოყაშვილი თ. ბ. ო., 4) ჭავჭავაძე თ. ი. ს., 5) ჩოლოყაშვილი თ. ნ. ზ., 6) ჩოლოყაშვილი თ. ა. ზ., 7) ჭავჭავაძე თ. ა. ნ., 8) ერისთავი თ. მ. გ., 9) მაყაშვილი თ. ა. გ., 10) ვახვახიშვილი თ. ს. რ., 11) ვახვახიშვილი თ. ა. რ., 12) ქობულაშვილი თ. ი. ა., 13) ჯორჯაძე თ. ი. ი., 14) ლიონიძე თ. ა. ს., 15) ჯორჯაძე თ. ი. გ., 16) ჯორჯაძე თ. დ. გ., 17) ვახვახიშვილი თ. ე. ს., 18) ჭავჭავაძე თ. ნ. გ., 19) ბარათაშვილი თ. ვ. გ., 20) მაყაშვილი თ. გ. დ., და კანდიდატებად: 1) რცხილაძე ვ. ი., 2) ყარალაშვილი თ. გ. ს., 3) ჭავჭავაძე თ. ს. გ.

IV) სიღნაღის მაზრისა: ამორჩეულ იქმნენ რწმუნებულად: 1) ვაჩნაძე თ. მ. რ., 2) ჩოლოყაშვილი თ. დ. ე., 3) ანდრონიკაშვილი თ. ი. ზ., 4) ვაჩნაძე თ. რ. ქ., 5) ანდრონიკაშვილი თ. მ. ა., 6) აბხაზი თ. კ. ნ., 7) ვაჩნაძე თ. ი. კ., 8) ვაჩნაძე ს. ს., 9) ანდრონიკაშვილი თ. ი. დ., 10) ანდრონიკაშვილი თ. ი. გ., 11) გიჟიმყრელი გ. ა., 12) ნასიძე მ. ა., 13) წინამძღვრიშვილი ა. ზ., 14) ჯანდიერი თ. ი. პ., 15) ვაჩნაძე თ. ი. გ., და კანდიდატებად: 1) ვაჩნაძე თ. კ. ლ., 2) ნაცვლიშვილი დ. კ., 3) ვაჩნაძე თ. ა. გ., 4) ვაჩნაძე თ. ა. გ., 5) ვაჩნაძე თ. ზ. გ. და 6) აბხაზი თ. ლ. ი.

*** დღეს, 9-ს აპრილს, შუადღის შემდეგ ერთს საათზე ავლაბარში საბჭო კავკასიის განყოფილების იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულის მზრუნველობისა უსინათლოთათვის გადიხდის პარაკლისს ავლაბარში იმის გამო, რომ საფუძველს ჩაჰყრიან უსინათლო ბავშთათვის სკოლის შენობისას.

*** დღეს, 9 აპრილს, საღამოს 8 საათზედ, სამხედრო საბჭოს დარბაზში (საოლქო შტაბი) რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას კრება ექმნება. ამ კრებაზედ ბ-ნი პანტიუხოვი წაიკითხავს გეოგრაფიულ მოხსენებას ქუთაისის გუბერნიის შაორის ველის შესახებ. კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიან დასწრება.

*** ამიერ კავკასიის შეიხ-ულ-ისლამის ახუნდ-ზადეს თაოსნობით სცენის მოყვარე მაჰმადიანნი წარმოდგენის გამართვას აპირებენ. შემოსავალი გადადებულ იქნება მოუსავლობისაგან დაზარალებულ გუბერნიებში მცხოვრებთ მაჰმადიანთა სასარგებლოდ.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი აბელი სთხოვს გუბერნატორის კანცელარიას რაც შეიძლება მალე შეატყობინონ: როდის იქმნენ ამორჩეულნი და დამტკიცებულნი თავისს თანამდებობაზე ქალაქის მოურავები...

## ფელეტონი

### საკუთარი რამე-რუმე

(წერილი გურიიდგან)

„ვიქმენით ჩვენ საყვედრელ მოძმეთა ჩვენთა და საკიცხელ გარემოსთა ჩვენთა“.

(ფსალ. დავითისი 78—4)

არ მინდოდა იმ ფრიად უსიამოვნო ამბავთა შესახებ, რაც ამ ბოლო ხანებში გურიის ერთ საზოგადოებას, სახელდობრ აკეთს შეემთხვა, ხმის ამოღება, მაგრამ ვინაიდგან ეს თავისთავად სამწუხარო ინციდენტი ინციდენტისა და ინტრიგის მოყვარულთა და მოტრფიალეთ თავისებურად ახსნეს და გაარკვიეს, ვინაიდგან რაც ნამდვილი და ჭეშმარიტი იყო ნისლ-ბურუსში გაახვიეს, ხოლო თაღლითი და ყალბი მზეზედ გამოჰფინეს და მით მწუხარება გაგვიორკეცეს—მეტი რა ღონეა, რომ სათქმელი არა ვსთქვა. ხოლო ვიდრე ამის თქმას შევუდგებოდე, ნება უნდა დამრთოს მკითხველმა, რომ თავდაპირველად ვაუწყო, თუ რის შესახებ განმიზრახავს მასთან საუბარი.

უეჭველია, გაიგონებდით ან ადგილობრივ გაზეთებში ამოიკითხავდით, რომ წარსულის წლის 21 ქრისტეშობისთვეს აკეთის წიგნთსაცავის წინ აქაურის ორ-კლასიან სკოლის ზედამხედველს ბ-ნ გეგეჭკორს სცემესო. ცემის მიზეზი, როგორც თითონ მცემელმა განმარტა, თურმე ის იყო, რომ თითქო ცემულსა და გვემულს გეგეჭკორს საზოგადოდ აკეთის საზოგადოება და კერძოდ რამდენიმე წევრი ამ საზოგადოებისა ცუდად მოეხსენებინოს გაზეთში... გადავჩხრიკე მაშინვე საუნჯე ჩემის მეხსიერებისა და აღმოჩნდა, რომ „ცნობის ფურცლის“ ერთ-ერთ №-ში ოქტომბრის გასულსა თუ ნოემბრის დასაწყისში ვიღაც „შავყვითელის“ პაწაწკინტელა შენიშვნა იყო დასტამბული, სადაც ნათქვამი იყო, რომ აკეთში უკეთუ ზოგიერთი უზნეო ქალი და კაცი არ იყვნენ, ამ საზოგადოების საქმე უფრო კარგად მოეწყობოდაო. ამ შენიშვნის ავტორობა დააბრალეს ალბად საბრალო გეგეჭკორს და ვითომ ბრალი აიხადეს, რომ სცემეს. Опроверже-nie-ც ასეთი უნდა განა!

ამის შემდეგ გავიდა თითქმის ორი თვე. არც „ცნობის ფურცელში“, არც სხვა გაზეთში აკეთის აუგისა და სიდუხჭირის შესახებ არავითარი ცნობა არ ყოფილა დაბეჭდილი, მაგრამ 19 თებერვალს, ღამით, როცა ბ-ნი გეგეჭკორი რვეულებს უჯდა გასასწორებლად, თავს დაესხნენ ვიღაც ბოროტ-მოქმედნი და კიდევ მიაყენეს უპატიურება მიზეზის განუმარტებლად.

ამ ამბით, როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოება აღელდა, აჩოჩქოლდა და აბობოქრდა. მამასახლისს სთხოვა, მაზრის უფროსი მოიწოდე, რომ ეს საქმე ადგილობრივ იქმნას გამორკვეულიო. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ისე იქმნა საქმე გამორკვეული, რომ სრულიადაც ისე არ იყო მოსალოდნელი.

28 თებერვალს მობრძანდა მაზრის უფროსი. ხოლო ამის წინა დღითა და ღამით ფეხმარდი და ენა-მახვილი შიკრიკები არა ნაკლებ ფეხმარდისა, ენა მახვილისა და გავლენიანის მოშავლინებელისა დარბოდნენ სოფლად და ცრუ-მეტყველებდნენ იმის შესახებ, თუ მეორე დღეს მაზრის უფროსისათვის რა პასუხი უნდა გაეცათ. „რა გენაღვლება შენ, სულელი თუ არ ხარ, ვინცხა ხონელ კაძახს სცემეს? მამიდაიშვილი არ არის შენი და დეიდაშვილი. იგი წავა, სხვაი მუა. უუჩიტელოდ კლასს ხომ არ დატიებენ. ფინთი რომ არ ყოფილიყო, არც ქე გალახავდენ. იმის გულობიზა მეზობელს რავა მეიმდურებს კაცი. საყანეს აღარ მოგცემს და საბალჩეს, საბალახოს აღარ დაგანებებს. მიი მერე და უყარე კაკალი“!.. გასჭრა ამ ხერხმა. მეორე დღეს საზოგადოებამ მაზრის უფროსის წინაშე სულ სხვა ჰანგზე დაიწყო ლაპარაკი და უიმისოდაც ცემულ-გვემული და ტანჯულ-ვნებული გეგეჭკორი თითქმის გაამტყუნა.

გაგიკვირდა განა, მკითხველო, მთელის საზოგადოების ასეთი გალაჩრება, ასეთი მოდუნება და ქედის მოხრა, თქმა და გადათქმა! სჩანს არ იცი, რაც არის თანამედროვე ცხოვრების ქავილი და კნავილი! არ იცი, რომ ამ დროში კაცური კაცობა, ნამუს-, მოვალეობა ორშაურიანსავით ადვილად დასახურდავებელი გახდა და ვისაც როგორც მოესურვება და მოეჭეიფება, ისე ახურდავებს. არ უწყი, რომ, სადაც კუჭის ინტერესი ხმას აიმაღლებს, იქ ყოველგვარი ზნეობრივი მოვალეობანი ადამიანისა და ჰუმანიური მოსაზრებანი უნდა დადუმდეს! კუჭი და მისი ანგარიშები—ეს ისეთი ძლიერი ალალია, რომ ვისაც დაუქროლებს, თუნდ მთელი საზოგადოებაც იყოს, ძველ სიმღერაგალობებს სულ გადაავიწყებს. თქვენ არ გცოდნიათ ეს, ხოლო იმათ, ვინც გლეხებს საყან-საბალახე ადგილებისა და საბალახოების შესახებ ეთათბირებოდნენ, ძლიან კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ ასეთის თათბირით გაუვიდოდნენ ფონს. აკი გავიდნენ კიდეც და ძლევა-მოსილადაც გავიდნენ და ამ დიდ-მარხვაში, ამ სინანულისა და ალსარების დროს ასეთ უკუღმართ ძლევა-მოსილებას დღესასწაულობენ.

აღსრულდა მათი საწადელი. გეგეჭკორი აღარ არის აკეთში. მან განიყარა ფერხთაგან თვისთა აკეთის მტვერი და წარვიდა. კარგადაც ჰქმნა.

> საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს
> კარგისა მამაცისაგან.

მდევნელთა მისთა ამის მეტიც არა უნდოდათ რა, ე. ი. არ უნდოდათ, რომ გეგეჭკორი აკეთში ყოფილიყო. რატომაო, იკითხავთ თქვენ. იმიტომ, ბატონო ჩემო, რომ ადამიანთა კრებულში ხშირად გამოერევა ისეთი გვამი, რომელიც მხოლოდ ნიადაგ იმის ფიქრსა და ცდაშია, გაიგოს იმის შესახებ ვინ რას ლაპარაკობს, ვინ რა აზრისაა. განდიდებისა თუ აღმატების მადა ნიშანდობლივი თვისებაა ასეთ ადამიანთა. ისინი ყოველთვის მოწყურებულნი და მონატრულნი არიან გარეშეთაგან ქებისა

ვი ბ ნი ევანგულოვი, გამგეობის წევრნი ბ-ნნი ხოსროევი და არღუთინსკი და აგრეთვე ყოფილი წევრები ამავე გამგეობისა ბ.ბ. ვერმიშევი და ივანენკოო.

⁂ რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო კავკასიის განყოფილება სთხოვს მიწად-მოქმედების სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში, დაავალოს კავკასიის სააბრეშუმო სადგურის გამგეთ გამოსცენ რუსულს და ადგილობრივ ენებზე ადვილად გასაგები ახსნა განმარტებანი ფუტკრის სხვა-და-სხვა ავათმყოფობის შესახებ, ვინაიდგან ბევრმა მეფუტკრემ არ აცის რა გვარათ ეშველება დაავადებულ ფუტკარს. ესევე საზოგადოება სთხოვს ბ-ნ რწმუნებულს იშუამდგომლოს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წინაშე, რათა ნება მისცეს მიიწვიოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის სკოლების მეფუტკრე-მასწავლებლები მეფუტკრეობის უკეთ მოწყობისათვის პროგრამმის შესამუშავებლად.

⁂ ქუთაისის მაზრის სოფ. კულაშის მცხოვრებთ განუზრახავთ შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის დაარსება იმ წესდებით, რომელიც უკვე შემუშავებულია ფინანსთა სამინისტროსაგან.

⁂ როგორც გაზეთი „ახ. მიმ.“-ა იუწყება, ტფილისის ცხენის რკინის გზის საკონცესსიოდ გაცემის საქმე განსახილველად გარდაეცა მინისტრთა კომიტეტსაო.

⁂ გორიდგან სწერენ იმავე გაზეთს, რომ გორის ქალაქის მოურავს უკვე მიუღია ტფილისის საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილების პირი იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნეს 1898 წლის, 12 ოქტომბერს მომხდარი არჩევანები ქ. გორის რწმუნებულთა, ვინაიდგან არჩევანების წინად გამოცხადებული არა ყოფილა ამომრჩეველთა სიაო. ამასთანავე სთხოვენ, რაც შეიძლება მალე დანიშნოს ახალი არჩევანები.

⁂ ტფილისის გუბერნატორის მოადგილე სთხოვს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შეატყობინოს: 1) ცნობები საზოგადოების მოქმედების შესახებ; 2) რაოდენობა საბაღოსნო სკოლის მოწაფეთა, მათი ვინაობა, წოდება, ეროვნება, სარწმუნოება და აგრეთვე რამდენი ფული იხარჯებოდა ამ სკოლის შესანახავად. („კავ.“)

⁂ სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგაში, ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის, სოფ. ცხრუნეთის მცხოვრებელ სარიდან ბიცაძეს ჩხუბის დროს ხანჯლით მოუკლავს ანაგის მცხოვრებელი ვანო დარგაშვილი. მკვლელი შეიპყრეს.

⁂ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ თავად შალვა დადიანის თაოსნობით სოხუმში გამართულ წარმოდგენიდგან შემოსავალი ყოფილა 186 მან. 65 კაპ. იქიდგან დახარჯულა 94 მან. 60 კ. დანარჩენი 9 მ. და ერთი შაური გარდაეცა დასაარსებლათ განზრახულს დედათა სასწავლებლის კომიტეტს ფონდის გასაძრიელებლათ. რისთვისაც თავმჯდომარე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების დედათა განყოფილებისა კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა უგულითადესს მადლობას უძღვნის როგორც წარმოდგენის მოთავეს, ისე მონაწილეობის მიმღებლებს.

⁂ ქ-ნნი ანნა წერეთლისა და ეკ. მესხისა გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი წერილი: „ექვს თებერვალს გამართულ საღამოდამ სამკითხველოების და სახალხო წიგნების გამოცემის სასარგებლოდ შემოვიდა: დასაპატიჟებელ ბარათებისა 273 მან., ჩაისა და ხილეულობისა 71 მან., სულ 344 მან. დაიხარჯა 102 მან. წმინდა შემოსავალი დარჩა 242 მ.ნ. ამ საღამოს გამგენი დიდს მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, რომელთაც შემწეობა აღმოგვიჩინეს და თავიანთი წვლილი არ დაიშურეს, განსაკუთრებით ბ-ნ მ. პ. ის.—შვილს, რომელმაც თავისი სახლი დაგვითმო“.

## რა ვუყოთ დაბრუნებულ ფულს?

(თავად-აზნაურთა კრების საყურადღებოდ)

1892 წელს, 18 მაისს, სწორედ იმ წელსა და იმ დღეს, როდესაც ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა კრება წარმოადგენდა ორ ბანაკად გაყოფილ ლაშქარს, ლაშქარს იქამდის გაწვავებულს, გამზადებულს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლად, რომ ყოველივე დეექციათ და შთაენთქათ ძმათა ბრძოლაში, რაცკი დღემდის საერთო ძალით, მამულის საუკეთესო შვილთა ხელით გაკეთებულიყო რამ და საერთო კავშირისა და საერთო მოძრაობის ფერი მიეღო; სწორედ იმ დროს, როდესაც საკმაო იყო მარჯვენამხრის მეთაურს ეთქვა, რომ მტკვარი კასპიის ზღვას ერთვისო, რომ მემარცხენეთა ბელადს პირში ქაფით დაემტკიცებინა, რომ ეს ურცხვი, შელახვა იყო სამართლისა, სწორეთ იმ წელს და იმ დღეს, როდესაც ჩვენდა სამარცხვინოდ ქართლი და კახეთი მზად იყო ერთმანეთი შეემუსრა, გასაოცარი თილისმა იქონია მამავალ ქალთა სააზნაურო სკოლის კომიტეტის თხოვნამ: „ბანკის მოგებიდგან დროა გადაიდოს თანხა მომავალ ქალთა სკოლის დასაფუძნებლადაო.“

ამ თხოვნამ, თუმცა წამით, მაგრამ საერთო ლმობიერება გამოიწვია მოსისხლე ძმათა შორის, თითქო ყველას გაახსენა, რომ ეს საქმე ისეთი წმინდა და სავალდებულოა ყველასათვის განურჩევლად, რომ ყოველი შუღლი მის სიწმინდის წინაშე უნდა შესწყდეს, და საოცარის ერთსულობით, ერთის გრძნობით და ერთ-გვარის გატაცებით მთელმა საზოგადოებამ, დასთა განურჩევლად, დაადგინა: „დაევალოს ბანკის მმართველობას და ზედამხედველ კომიტეტს ყოველი ღონისძიება მიიღოს, რომ მალე, პირველსავე შემთხვევით, ისარგებლოს და როცა-კი აღმოჩნდეს თავისუფალი თანხა და მასთან ბლომა თანხა, დაენიშნოს ქალთა სკოლის კომიტეტს.“

დიახ, ბატონებო, ეს სამაგალითო შემთხვევა, ეს წამიერი ზავი აღნუსხულია იმ დღის კრების ოქმში და შეუსწორებლივ დამტკიცებული ერთხმივ. (ეს იმ დროში ერთად ერთი მაგალითია; პირ იქით, რამდენათაც მე მახსოვს, საოცარის თანხმობით და მჭერ-მეტყველებით აღიარა ამ საქმის საჭიროება და სიდიადე ყველა დასის ორატორმა და ბევრში ამ მოულოდნელმა თანხმობამ გამაგებულ მებრძოლთა გულ-წრფელი ცრემლი გამოიწვია).

დამტკიცებული და აღნუსხულია, მაგრამ ამ შვიდი წლის განმავლობაში მხოლოდ აღნუსხულადვე რჩება. არავითარი მოძრაობა, არავითარი თაოსნობა არ ჩანს ამ დაგვიანებით მომაკვდინებელ ცოდვად ქცეულს საგანს, ამ შვილი-შვილთა პასუხის საგებ საქმეს.

ჩვენ, ქართველ ქალთ, კარგად გვესმის, რომ ჩვენს საზოგადოებას ბევრი დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი, ბევრი დასამთავრებელი, ბევრის საძირკველი ჩასაყრელი, მაგრამ ქალთა აღზრდის საქმის მიყრუება მამაკაცთაგან დიდ ცოდვად მიგვაჩნია.

აი თუნდ ეხლა, როდესაც მთელ ქართველ თავად-აზნაურობას ქართლისასა და იმერეთისას ნახევარ მილიონზედ მეტი ფული ექმნება ხელთ, რატომ პირველ საგნად თუ არა, სხვათა პირველთა შორის არ არის დასახული მომავალი სათავად-აზნაურო ქალთა სკოლის ბედ-იღბალი?

განა ჩვენს დროში, როდესაც ქალთა უდიერი აღზრდა ყველასთვის საგრძნობლად და სავალალოდ გამხდარა, როდესაც ქართველ დედაკაცს დაუკარგავს ყოველგვარი თავისებურობა და საშინელის სისწრაფით მიისწრაფის გადაგვარებისაკენ, ეს საქმე უკან მისაგდებია?

განა ყველას ერთად შეერთებულის ძალით არ გვმართებს მომზადება ამ უდიდეს სენთან საბრძოლველად? განა იმერ ამერთათვის საჭირო არ არის იმისთანა დედათა სასწავლებელი, სადაც ერთად, ერთ ქალაქში, ერთ ჭერს ქვეშ, ერთის პროგრამით, ერთის ზნეობრივის გავლენის ქვეშ, გვეზრდებოდნენ მომავალნი დედანი, დანი, ოჯახის ბურჯნი და ოჯახთან ერთად ბურჯნი ენისა, თვისებისა, ზნეობისა და თვითცნობიერებისა? განა საჭირო არ არის შევაერთოთ ქონებასთან ერთად ჩვენი ცოტად თუ ბევრად განსხვავებული ხასიათი, მიდრეკილება, ზნე, ჩვეულება და ერთმანეთზედ გავლენით შევავსოთ, განვაუკეთესოთ, შევეჩვიოთ, ერთმანეთს შევუზავოთ ნაკლი და ღირსებანი და მომავალი—სრული ქართველი ქალი აღვზარდოთ?

ამ დედა-აზრისთვის, მე მგონია მეტი არ იქნება, შევერთდეთ მთლად ქართველობა და ავაგოთ ტაძარი ქალთა აღსაზრდელად, ტაძარი არა მარტო მეცნიერების მისაღებად, არამედ ტაძარი საეროვნო განახლებისა, აღორძინებისა და თვით-შემეცნებისა?

ვგონებ ყველასათვის ნათელია და დიდი ხანია შეგნებული, რომ დედათა აღზრდაზეა დამყარებული ჩვენი მერმისი, და მერმისი ვისთვის არის ასე საეჭვო და გამოურკვეველი, როგორც ჩვენთვის?

თუ დროზედ არ შევქმენით „ჩვენი მყობადი“ და არ მივეცით მომავალი ერს, ვინ იზრუნებს ჩვენთვის, ან ვის უნდა ვაზრუნვინოთ? „თუ მოტირალი არ სტირის, რა ატირებს მობანესაო“, ნათქვამია.

დღეს ჩვენ ხელთ არს, თუ ძალიან დიდი თანხა არა, კარგა ბლომა მაინც, და შეგვიძლიან შეუდგეთ კიდეც ამ განზრახვის ასრულებას. სხვა გაჭირვებისათვის მოხმარება იმ ფულისა, რომელიც ჩვენმა მამა-პაპამ სწავლა-განათლებას დაუდო საფუძვლად და რომელმაც სამსახური გაუწია და ფეხზედ დააყენა სააზნაურო სკოლები ქუთაისსა და ტფილისში, ახლა, უეჭველად, საძირკვლად უნდა ჩაეყაროს დედათა სააზნაურო სკოლას!

მე ვეთანხმები ბ-ნ გოგებაშვილის იმ აზრს, რომ ეს ათი ათასი თუმანი, რომელიც დაუბრუნდება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას, ჯერ მოხმარდეს სააზნაურო სკოლის სადგურის აშენებას და როდესაც შე-

---

და მკობისა, თუნდაც რომ ამის მსგავსი თავიანთის ყოფა-ქცევით სრულიადაც არ ჰქონდეთ დამსახურებული. საკმაოა ასეთ ადამიანთა შესახებ არა იფიქროთ რა, არცა სთქვათ-რა, რომ მათგან ათვალწუნებული გახდეთ. ათვალწუნება ცოტა ხნის შემდეგ მტრობად გადიქცევა და მტრობა-კი ამ შემთხვევაში იმდენად საშიში და სახიფათოა, რამდენადაც ასეთის სენით შეპყრობილი ადამიანი ასე თუ ისე გავლენიანია. „არაფერს ამბობს ჩემს შესახებ, სჩანს ცუდი რამ უდევს გულშიო“, იფიქრებს ის და დაგიწყებს დევნას.

ეს იყო და ეს მიზეზი და დასაბამი აკეთის ინციდენტისა, თორემ რა უშავდა ბ-ნს გეგეჭკორს! როგორც მასწავლებელი მუყაითი და კეთილ-სინდისიერი იყო. ადგილობრივ წიგნთ-საცავის ხელის შემწყობი და გულშემატკივარი იყო. მან ითავა დაქირავება ფოსტის წამღებ-მომტანისა აკეთსა და ლანჩხუთს შუა. შაურობით და ორ შაურობით აგროვებდა ფოსტის დამტარებლისათვის ქირას, რის მეოხებითაც აკეთლებს საშუალება ჰქონდათ კვირაში ორჯელ ახალი ჟურნალ-გაზეთები მიეღოთ და ეკითხათ. რწმუნებულ მისდამო სკოლაში საფუძველი დაუდო ეგრედ წოდებულ „ბიბლიოთეკა-კაპეიკის“ დაარსებისა. ერთის სიტყვით, ყოველ საზოგადო და საწინმსვლელო საქმეს ექომაგებოდა და თანაუგრძნობდა.

იმისი ერთად-ერთი ნაკლი ის იყო, რომ ვერ მოახერხა ხოტბა და ქება ეძღვნა ზოგიერთ განდიდების სენით დასნეულებულ ადამიანთათვის. ვერ მოახერხა თაყვანი ეცა, გუნდრუკი ეკმია და ფეხქვეშ ფიანდაზად დაჰგებოდა ასეთ ადამიანებს. ამაებისათვის ალბად არც მოცალეობა ჰქონდა და არც სურვილი. ძაღლის თავიც სწორედ ამ ალაგას არის დამარხული. „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი შენიშვნა აქ რა შუაშია! ეს უბრალო მომიზეზება იყო და სხვა არაფერი. „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „ივერია“ და სხვა ჟურნალ-გაზეთი თუნდაც სულ არ არსებულიყო, გეგეჭკორს გარდასახდელი მაინც გარდახდებოდა. ეს რომ ასე იყო, ძალიან ადვილად სავარაუდო და მისახვედრია. ჯერ ერთი, რომ დანამდვილებით არავინ იცოდა, თუ იმ შენიშვნის ავტორი გეგეჭკორი იყო. მეორეც ისა, რომ უკეთუ დასახელებულის შენიშვნით ვინმე განაწყენდა, ამ წყენამ რატომ მაშინვე არ იჩინა თავი და არა ორის თვის შემდეგ? რატომ მაინცა და მაინც 21 ქრისტეშობისთვე დანიშნეს გეგეჭკორის სასჯელის დღედ, მაშინ, როდესაც შენიშვნა დაბეჭდილი იყო ოქტომბრის გასულსა თუ ნოემბრის პირველ რიცხვებში? ვიმეორებ, უამ შენიშვნოდაც გეგეჭკორი ნიშანში ამოღებული ყოფილა. „ეგზეკუციის“ მე-2 დღეს, ე. ი. 22 ქრისტესშობისთვეს, გეგეჭკორს შეგირდები უნდა დაეთხოვნა და სახლში უნდა გამგზავრებულიყო; იფიქრეს, მოდი ერთი გავბერტყოთ ეს არა ჩვენის ქუდის კაციო. მიზეზი ხომ გვაქვს: „ცნობის ფურცელში“ ვიღაცამ ცუდად მოგვიხსენია, ეს ვიღაც ვითომც გეგეჭკორი ყოფილა. გავბერტყავთ, შეშინდება და ნაახალწლევს აღარ დაბრუნდებაო; ჩვენი აზიზი თვალები იმის საძაგელ სახეს ვეღარ იხილვენო. ამ მოსაზრებას, სხვათაშორის, ისიც ამტკიცებს, რომ დღესასწაულებზედ სახლში ყოფნის დროს გეგეჭკორს აკეთიდამ უსახელო უსტარი მიუღია: არ დაბრუნდე აკეთში, თორემ გლეხებს შორის შეთქმულობაა და ცუდი დღე დაგადგებაო. გეგეჭკორმა ამ წერილს ყურადღება არ მიაქცია, დაბრუნდა აკეთში და თავისს საქმეს შეუდგა. ხოლო, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მის წინააღმდეგ შეთქმულობა ნამდვილი იყო, მაგრამ არა გლეხებს შორის, არამედ სხვაგან. 19 თებერვალს, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ღვთის რისხვა ავდარში მიუხდნენ გეგეჭკორს სკოლაში და კინაღამ წუთი-სოფელს გამოასალმეს.

საზოგადოებამ იცოდა, ვისი ბრძანებითაც მოხდა ყოველივე ეს. იცოდა, ვინც იყვნენ ამ ბრძანების აღმასრულებელნი. მაგრამ მოთათბირებულ და მონადირებულ იქმნა და საქმის ნამდვილ ვითარების გამოაშკარავების მიფუჩეჩება არჩია. გეგეჭკორი თუმცა კარგი მასწავლებელია, გარნა ჩვენი უყან-უბალჩოდ და უსაბალახოდ დარჩენა არ არის კარგიო. ამას გარდა, თუ გეგეჭკორს, საზოგადო სამსახურში მყოფ კაცს და შედარებით ჩვენზედ უფრო ძლიერს, ასეთი საქმე დამართეს, ჩვენ რომ ამაზედ ხმა ამოვიღოთ, უარესი დღე დაგვადგებაო.

ამ ნაირად იყო ეს ამბავი და დიდი ბოდიში, დიდი უკაცრაობა მკითხველთან, რომ ცოტა არ იყოს კანტი-კუნტად მომიხდა ლაპარაკი. რის თქმაც გავბედე, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მეჩვენებინა ერთი ნიმუში იმისა, თუ რა ზნეობრივ ხრწნისა და რყვნის დროს გვარგუნა ბედმა ცხოვრება. თურმე შესაძლებელი ყოფილა, უკეთუ ცოტაოდენი გავლენა გაქვთ, სრულიად უდანაშაულო ადამიანი აითვალწუნოთ და თქვენს სიახლოვეს არ აპოგინოთ. თუ გინდათ მოჰკლათ კიდეც და თქვენის დანაშაულობის კვალი ისე მიჩქმალოთ, რომ მართლ-მსაჯულებამ გზა-კვალი დაჰკარგოს. შიშით იქნება თუ რიდით, დაყვავებით თუ მუქარით (საყან-საბალჩისა და საბალახოს შესახებ არას ვიტყვი), იშოვით თურმე პირ-მეტყველთა მთელს კრებულს, რომელიც ზეგარდმო მინიჭებულს ნიჭს მეტყველებისას ისე აამეტყველებენ, როგორც თქვენი ნება-სურვილი იქნება. ბ-ნ გეგეჭკორის თავგადასავალი სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო და აკეთელთა საქციელშიაც ეს მხარეა სამწუხარო. ადვილად მოსალოდნელია, თქვენი უმორჩილესი მონაც, ქვემორე ამისა ხელის-მომწერი, ამ წერილის ავტორობისათვის გეგეჭკორსავით სადევნელ და საყვედრელ გახდეს, მაგრამ ვსასოებ ყოველთა შემოქმედის მიმართ, რომ „დამიფარავს მე ამბოხისაგან უკეთურთასა და სიმრავლისაგან მოქმედთა უსჯულოებისათა, რომელთა აღლესნეს, ვითარცა მახვილნი ენანი მათნი, გარდაგცვეს მშვილდსა მათსა საქმე სიმწარისა“.

კნინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობა მზად იქნება, დაგირავდეს ბანკში და ფული შეტანილ იქმნას იმისთანა საკრედიტო დაწესებულებაში, რომელიც უფრო მომატებულ სარგებელს მისცემს და მაშინვე ამ თანხის სარგებლით და ქუთაისის თავადაზნაურთა თანხის დახმარებით დაარსდეს საქალებო სააზნაურო სკოლა.

დაგვიანება, კიდევ გადადება ამ დიდის საქმისა შეუწყნარებელი ცოდვა იქნება და, ცოდვის გარდა, რაც უფრო გულის გამტეხი და სავალალოა, უსამართლობა ქართველ ქალთა მიმართ.

ამ ოცის წლის განმავლობაში, რაც ჩვენი ვაჟების სკოლები არსებობს და ასობით თუ არა, ოცობით მაინც უმზადებს თავისს ჰერ ქვეშ ნამდვილ სამშობლო ნიადაგზედ აღზრდილ ვაჟკაცებს, არავითარ ზრუნვასა და გულის ტკივილის, მათდა საკეთილოდ მიმართულს, არა ჰხედავენ ჩვენი ქალიშვილნი. როდესაც საქართველოს თითქმის ყოველ მივიწყებულ კუთხიდგან ღარიბ აზნაურიშვილს გზა აქვს თავისი ვაჟიშვილი სააზნაურო სკოლაში მიაბაროს, სწავლა-განათლების გზაზედ დააყენოს, ქალიშვილები რჩებიან სრულიად უნუგეშოდ, სიბნელისა და უმეცრების წყვდიადით გარემოცულნი.

რამდენჯერ ყოფილა ყოველნი თქვენგანნი, ბატონებო, მოწამე იმ გულის გამგმირავის სურათისა, როდესაც ძმა ბრუნდება თავის ოჯახში სწავლითა და მეცნიერებით აღჭურვილი და ბეჩავი და-კი მხოლოდ მოწიწებით შეჰყურებს იმის სწავლით ძლევა მოსილებას და ბევრჯელ შურით მდუღარებასაც აბნევს?!.

რათა! რისთვის? სად არის ჩვენი თავმოსაწონებელი სამართალი, ჩვენი ძველთა სასახელო დიდებული აზრი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს იგი თუ ხვადი?“

მჯერა, რომ ეს ძველი ბრძნული თქმულება ზედ გამოჭრილია ქართველის კაცის რაინდულ ბუნებაზედ და როგორც თავისის გრძელ ისტორიის კიდეებზედ ყოველთვის აუყვავებია ეს უმაღლესი იდეალი კაცობრიობისა, არც ეხლა უღალატებს იმას; მჯერა, რომ იგი თავისის მოქმედების პირველ საგნად ამ საქმეს გაიხდის და სახელოვანადაც დაგვირგვინებს.

ეკ. გაბაშვილისა

## სტუდენტთა არეულობის შესახებ.

(შემდეგი *)

თუმცა იმ სტუდენტობის ნაწილმა, რომელიც არეულობის განგრძობის მომხრე იყო, მრავალი თანამოზიარე დაჰკარგა, მაგრამ მაინც იგი ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის შორის არეულობა არ შეჩერებულიყო; ემუქრებოდა იმ სტუდენტებს, რომელნიც ლექციებზედ დადიოდნენ და იმათ გვარებს საჯაროდ აცხადებდა.

ამის გამო 20 თებერვალს „უნივერსიტეტის წეს-წყობილების წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფის“ სახელით გამოქვეყნებულ იქმნა მოწოდება, რომელშიაც სწერდნენ: „რადგანაც ზოგიერთნი თავს არ ანებებენ ლექციებზე სიარულს და ამიტომ უნივერსიტეტი „არ იხურება“, დაბეჯითებით ვთხოულობთ ამხანაგებისაგან მეტის სისასტიკით მოექცნენ იმ ნაწილს სტუდენტობისას, რომელნიც, ქვენა გრძნობით გატაცებულნი, ხელს გვიშლიან ჩვენის დიადის აზრის განხორციელების საქმეში და ყოვლისავე კეთილისა და სამართლიანობის უარის მყოფელნი წინ გვეღობებიან. სასურველი კი არა, აუცილებელიც არის, მათი, — მოწინააღმდეგე „ამხანაგთა“ — ძალით ალაგმვა, ვინაიდგან მათზე არც „რწმენა და არც თავისუფლების პრინციპი“ არა მოქმედობს. ესენი მავნებელნი წევრნი არიან ჩვენის ურთიერთობისათვის, საზიზღრები და დაქვეითებულნი, ამიტომ გთხოვთ მიიღოთ შემდეგი ზომები: პირველ ყოვლისა უნდა გამოვაქვეყნოთ მათი გვარი და სახელი და შემდეგ ყოველ გვარ ფიზიკურ საშუალებას მივჰმართოთ. ხოლო ისე ფარულად-კი, რომ დიდი ზარალი არ მოგვივიდეს. აზვირთებული გულის თქმა სტუდენტებისა უფრო ქეზდებოდა იმ პროკლამაციებით, რომლებსაც ჰბეჭდავდა აღმასრულებელი კომიტეტი და აგრეთვე იმ მოწოდებებით, რომლებიც იგზავნებოდა მოსკოვში სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებიდგან. ამ შემთხვევაში უფრო ცუდი ზედ-გავლენა იქონია კიევის „ზემლიაჩესტვო“-თა შეერთებულ საქმოს მოწოდებამ, და მოსკოველ ახალგაზრდათა სახელობაზე მოსკოვში გამოგზავნილ პროკლამაციამ სოციალისტ-რევოლიუციონერებისაგან.

როდესაც 20 თებერვლის უმაღლესი ბრძანების ამბავი უნივერსიტეტში მოვიდა, აღმასრულებელმა კომიტეტმა 23 თებერვალს გამოსცა განსაკუთრებული მოწოდება, რომელშიაც აცხადებდა, რომ საქმის გამორკვევამდე და მოსკოვიდგან გაგზავნილ ამხანაგების დაბრუნებამდე ისე მოვიქცეთ, როგორც დღემდე ვიქცეოდითო. 26 თებერვალს ასეთივე მოწოდება გამოსცეს საიმპერატორო სატეხნიკო სასწავლებლის სტუდენტებმა. 1 მარტს ლექციებს შედარებით ნაკლები სტუდენტები დაესწრნენ: უნივერსიტეტში მხოლოდ 450, სატეხნიკო სასწავლებელში—100, და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—25 კაცი. 3 მარტს უნივერსიტეტში ლექციებზედ სულ ცოტანი გამოცხადდნენ. 2 საათზედ ეზოში შეიკრიბა 1000 კაცი, რომელნიც შემდეგ რექტორის ნება-დართვით საქტო დარბაზში შეუშვეს. ყრილობის გათავების შემდეგ, რექტორს გაუგზავნეს დეპუტაცია, რომელმაც გამოუცხადა, რომ 1055 კაცისაგან 724-მა გადავწყვიტეთ არეულობას თავი არ გავანებოთ იმ დრომდე, ვიდრე განხილული არ იქმნება უნივერსიტეტის მთავრობის შუამდგომლობა დათხოვნილთა უკან მიღების შესახებ. 4 მარტსაც ლექციებს ცოტანი დაესწრნენ. მეორე დღეს მეტი გამოცხადდა, კლინიკებში 700 სტუდენტი იყო. ყველა კურსის სტუდენტებს რექტორმა ნება დართო კრებები მოეხდინონ. ამ კრებებზედ 1,130 სტუდენტმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ არეულობას თავი გავანებოთო, ხოლო 622 სტუდენტმა — განვაგრძოთო. 6 მარტს უნივერსიტეტში იყო 1,829 სტუდენტი, 8 მარტს უფრო მეტი. უნივერსიტეტის მთავრობამ, სცნო რა რომ წესიერება აღდგენილ იქმნა, გამოაკრა განცხადება ყრილობების აღკრძალვის შესახებ.

იმ 600 სტუდენტმა, რომელნიც არეულობის განგრძობის მომხრენი იყვნენ, აღმასრულებელ კომიტეტის მეთაურობით სწავლის პირველ დღიდგანვე განაახლეს თავიანთი სააგიტაციო მოქმედება. 9, 10 და თერთმეტს მარტს თუმცა ლექციები არ შეწყვეტილა, მაგრამ ყრილობებიც იმართებოდა. 10 მარტს რექტორის თანამდებობის აღმასრულებლის განკარგულებით გამოკრულ იქმნა ახალი განცხადება, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ მთავრობის მიერ მიღებული სასტიკი ზომები ძალას კარგავენო და აგრეთვე ის, რომ დეპუტაციების გამოგზავნა აღკრძალულიაო. ეს განცხადება და აგრეთვე 8 მარტის განცხადება მოწინააღმდეგე სტუდენტებს არ მოეწონათ. მათ განაცხადეს, რომ რექტორი დაგვთანხმდა შევიკრიბნეთ ხოლმე მოსალაპარაკებლად და ახლა კი ამ განცხადებებით არღვევს ამ დანაპირებსაო. განცხადებათა აზრის ასე განმარტების წყალობით, მოწინააღმდეგე სტუდენტებს რამდენიმე ასი სტუდენტი მიემხრო, ასე რომ არეულობის მსურველი 1,366 სტუდენტი აღმოჩნდა, ხოლო მოწინააღმდეგე 679 კაცი. 16 მარტს ლექციებზედ მეტად ცოტანი გამოცხადდნენ. ის 14 სტუდენტი, რომელიც პროფესსორის სოკოლოვსკის ლექციაზედ მივიდა, დანარჩენმა სტუდენტებმა ძალად გამორეკეს დარბაზიდგან. ლექციებს დაესწრნენ მხოლოდ სამკურნალო ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტები, რომელთაც უარი განაცხადეს, — არეულობაში მონაწილეობას აღარ მივიღებთო. იურიდიულ ფაკულტეტზედ, პრ. ალექსეევის ლექციაზედ, 12 სტუდენტი გამოცხადდა. ამ 12 სტუდენტს გარედ 150 კაცი უცდიდა და ემუქრებოდა, როცა გამოხვალთ ძალას ვიხმართ თქვენს წინააღმდეგაო. სტუდენტები მხოლოდ მაშინ დაიშალნენ, როდესაც უნივერსიტეტის მთავრობამ გამოუცხადა, რომ პოლიციას დავუძახებთო. 17 მარტიდამ 22 მარტამდის სწავლა აღარ ყოფილა. ამ ხნის განმავლობაში უნივერსიტეტში თხოვნა შეიტანა თითო-ოროლა სტუდენტმა. 17, 18, 20, 22 და 24 მარტს გამოცემულ ბიულიტენებში აღმასრულებელი კომიტეტი თხოულობდა სტუდენტებისაგან, რომ თხოვნები შეიტანეთ და არეულობა განეგრძეთო. ამ აგიტაციის წყალობით, უნივერსიტეტის მთავრობა იძულებული გახდა განსაკუთრებულის სიფრთხილით მოქცეულიყო სტუდენტების მიღების დროს.

სულ თხოვნა 4199 სტუდენტმა შეიტანა უკანვე უნივერსიტეტში მიღების შესახებ. ამათგან 3318 თხოვნა შეწყნარებულ იქმნა. უარი გამოეცხადა 774 სტუდენტს, რომელთაგან 370-ს მომავალ წელს შეუძლიან შესვლა. ამათ გარდა უარი გამოეცხადა 37 სტუდენტს, რომელთა შესახებ შეკრებილ იქნა პოლიციის მიერ მათ საწინააღმდეგო ცნობები. გამორიცხული სტუდენტები გაგზავნილ იქმნენ მოსკოვიდგან თავიანთ სამშობლოში, იმათ გარდა, ვინც მოსკოველი იყო. 49 სტუდენტს, რომელნიც ყველაზედ მეტს მონაწილეობას იღებდნენ არეულობაში და რომელნიც დაპატიმრებულ იქმნენ, აღეკრძალა ორის წლის განმავლობაში სატახტო და საუნივერსიტეტო ქალაქებში ცხოვრება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ხნის განმავლობაში სტუდენტთა უმრავლესობას მონაწილეობა არ მიუღია არეულობაში.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 76.

# უცხოეთი

**ჰოლანდია.** როგორც იუწყებიან, გააგის სამშვიდობო კონფერენციაზე დასწრების სურვილი განუცხადებიათ, თავიანთ პირობების წარუდგენლად, გერმანიას, ავსტრო-უნგრეთს, იტალიას და ზოგიერთ პატარა სახელმწიფოებს. ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას და ოსმალეთს თავიანთი მოსაზრებანი წარუდგენიათ, რომელთა შეწყნარება მიუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ თავიანთ ინტერესების დასაცველად. მაგალითად, ინგლისს განუცხადებია, რომ ყველაფერზედ დავეთანხმებით, მაგრამ ჩვენი სამხედრო ფლოტის შემცირება არ შემიძლიან და ამიტომ ნურც შეეხებით ამ საგანსო; საფრანგეთი თხოულობს, რომ მისის ახლად გამოგონილ წყლის ქვეშ მოსიარულე ნავს არ შეეხოს კონფერენცია, თუ არ სურს, რომ მისი დადგენილება ამ საგნის შესახებ მხოლოდ დადგენილებადვე დარჩეს. რას თხოულობენ ამერიკა და ოსმალეთი, ამის შესახებ გაზეთებს ჯერ ვერა გაუგიათ-რა.

**ავსტრია.** 31 მარტს ტიროლის სეიმის კრება გაიხსნა. კრებას არც ეხლა დაესწრნენ ტიროლის იტალიანელი დეპუტატები, თუმცა მთავრობა დიდად ცდილობდა მათს დამშვიდებას და მიმხრობას, რისთვისაც ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა მათთან კატრეინის საშუალებით. იტალიანელები წინანდებურად თხოულობდნენ სეიმის ორად გაყოფას, ეროვნების მიხედვით, ასე რომ ერთს ჰქონოდა კრება ტრიენტში, ხოლო მეორეს — ინსბრუკში. ისინი აგრეთვე თხოულობდნენ სამოსწავლო საბჭოს გაყოფას. ამ უკანასკნელ საგნის შესახებ მთავრობამ გადაჭრილი უარი სთქვა, ხოლო სეიმის ორად გაყოფას დასთანხმდა, მაგრამ იმ პირობით, რომ ერთი კურიის დადგენილებას მხოლოდ მაშინ მისცემოდა კანონმდებლობითი ძალა, თუ მეორე კურიაც ამისი თანხმა იქმნებოდა. ამას გარდა მთავრობას უნდა დაენიშნა ორთავე კურიის თავმჯდომარეები. იტალიელები თანახმანი არ გახდნენ მთავრობის ასეთ წინადადებისა და ამის გამო კვლავ ნემცებს მოურიგდნენ.

**დანია.** 28 მარტს ზორგენფრის სამეფო სასახლეში მონათლეს პირველ შექმნილი შვილი პრინცის ქრისტიანესი და პრინცესა ალექსანდრასი, რომელსაც სახელად უწოდეს ფრიდრიხი. ეს უკანასკნელი არის მეფის შვილის შვილი. როგორც ვიცით, დანიაში მეფობს ეხლა ქრისტიანე IX, რომელსაც ამ დღეებში შეუსრულდა 81 წელიწადი; იმისი შვილი, ტახტის მემკვიდრე პრინცი ფრიდრიხი, 56 წლის კაცია; ფრიდრიხის უფროსი შვილი ქრისტიანე, რომელიც თავისს მამის შემდეგ უნდა ავიდეს ტახტზე, 29 წლისა არის; ხოლო ამ უკანასკნელის შვილი ის არის, რომელიც 28 მარტს მონათლეს და რომელიც თავისის მამის შემდეგ იმეფებს დანიაში ფრიდრიხ მე IX-ს სახელით. ამ რიგად დანიაში ამ ჟამად სამი ერთი მეორის მემკვიდრე მემკვიდრეა ტახტისა, რაიცა იშვიათს მოვლენას შეადგენს მეფეთა გვარეულობის ისტორიაში. ამ გვარივე შემთხვევა მოხდა ამ ჩვიდმეტი წლის წინად გერმანიის სამეფო ოჯახში, რამაც დიდი ყურადღება მიიპყრო. მაშინ მეფობდა გერმანიაში იმპერატორი ვილჰელმ I; ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა მისი შვილი პრინცი ფრიდრიხი; ფრიდრიხის შვილი იყო ეხლანდელი იმპერატორი გერმანიისა ვილჰელმ II; ვილჰელმს ჰყავდა შვილი, რომელიც ეხლა გერმანიის ტახტის მემკვიდრედ ითვლება.

# დამაკვირდი *)

უკეთუ თავ-ასხმისა ჟამსა ყანა არ გაიმარგლა, მკისა ჟამსა ეკალნი და ყანანი, მის მიერ შეშთობილნი, ერთბამად მოიმკობიან.

სულხან საბა

* * *

თავის ნებით ქრისტიანსა არ ჯოჯოხეთს წასვლა უნდა..

როსტომიანი

* * *

ხატი კიყავ ღმრთისა და სული მედგა ღვთისა, და გზა ცხოვრებისა გაკვლე ისე, რომე არცა იგი ხატი შეამურე და არცა იგი სული შეამწიკვლე.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის ქალაქ ფილადელფიის საჯარო წიგნთ-საცავთან დაარსებული იქმნა განსაკუთრებული განყოფილება უსინათლოთათვის. ამ განყოფილებაში უკვე 2,000 ტომია. საღვთო-წერილის წიგნების გარდა, ბევრი წიგნია ისტორიული; აგრეთვე რომანები, მოთხრობები, ლექსები და სხვა. დარბაზში ხშირად მართავენ კითხვებს უსინათლოთათვის.

* * *

ეხლანდელს დროში, როდესაც რკინის გზების წყალობით მისვლა-მოსვლა გახშირდა, ბევრს შეხვდებით ისეთს, რომელსაც რამდენიმე სხვა და-სხვა ენა აქვს შესწავლილი და ამ ენებზედ ლაპარაკობს. მაგრამ დღემდის არც ერთს კაცს არა სცოდნია იმდენი სხვა-და-სხვა ენა და კილო, რამდენიც ნემენცმა განს ფონ-გაბელენცმა იცოდა. ამ კაცს 80 სხვა-და-სხვა ენა და კილო ჰქონდა შესწავლილი, ბევრისა გრამატიკა და სინტაქსიც-კი შეადგინა. გაბელენცი საქსენ-ალტენსბურგის საერცოჰოში მინისტრად იყო. იმისი შვილი ამას წინად ბერლინში გარდაიცვალა. შვილი 1818 წელს ლეიპციგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ ენების პროფესორად იყო. იმასაც მრავალი ენა ჰქონდა შესწავლილი.

* * *

მკითხველებს უთუოდ მოეხსენებათ, რომ ამერიკაში კანონიერად შეუღლებულ ცოლქმარს კანონისავე ძალით ადვილად შეუძლიანთ სამუდამოდ განშორება, განქორწინება. ამერიკის კანონები ამ შემთხვევაში ისეთს სისასტიკეს არ იჩენენ, როგორც სხვა ქვეყნის კანონები და სულ მცირე, უმნიშვნელო მიზეზია საკმაო ცოლქმარის განქორწინებისათვის, სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამერიკაში ყოველ წელიწადს მრავალნი შეუღლებულნი შორდებიან სამუდამოდ ერთმანეთს. ასე გასინჯეთ, ბევრს შტატში განსაკუთრებული სააგენტოებიც-კი არსებობს, რომელნიც მხოლოდ ცოლ-ქმრის განქორწინების საქმეებს ადგანან. მსურველს შეუძლიან მივიდეს ამ სააგენტოში, გამოაცხადოს, მინდა ცოლს ან ქმარს გავეყაროო და მეტი არაფერი არ უნდა: ყველაფერი შემდეგ სააგენტო გააკეთებს, მიწერ-მოწერას გამართავს, სასამართლოში საქმეს აღძრავს და მთხოვნელის სურვილისამებრ დააგვირგვინებს ამ საქმეს. როგორც „NevIork-Herald“-ი იუწყება, კონნექტიკუტში 10 ქორწინებაზედ 1 განქორწინება მოდის, ვერმონტში — 14-ზედ 1, მასსაჩუსეტში —

*) გუშინდელ №-ში შეცდომით სწერია: „დგას კანჯარი ლოგსა წინა“. უნდა იყოს: „დგას კანჯარი ლომსა წინა“.

24-ზედ 1, როდ ეილანდში—13-ზედ 1, ხოლო ჩიკაგოში 8-ზედ 1.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 აპრილი

**პარიჟი.** განაგრძო რა ჩვენება, პიკარმა სთქვა, რომ საბუთის ქაღალდები სამინისტროს დრეიფუსის დაპატიმრების შემდეგაც მისდიოდაო. პიკარი დარწმუნებულა, რომ ყველა ის საბუთის ქაღალდები, რომელნიც ანდრის მიერ სიყალბის ჩადენის შემდეგ აღმოჩნდა, ყალბია.

**ვაშინგტონი.** სამოას კომისიის წევრებს აზრადა აქვთ სამოას კუნძულზედ ოთხი თვე დაჰყონ, შემდეგ ვაშინგტონში დაბრუნდებიან, სადაც კრებები ექმნებათ.

**კონსტანტინეპოლი.** Agence de Constant."-იიუწყება, რომ ცნობა, ვითომ კონსტანტინეპოლში მრავალი მაჰმადიანი იქმნა დაპატიმრებული და ამ დაპატიმრებას კავშირი ჰქონდა ახალგაზრდა ოსმალებთან, სიმართლეს მოკლებულია.

**პარიჟი.** დღეს საკასაციო სასამართლომ გაზოს თავმჯდომარეობით, ხალხის დაუსწრებლად, განიხილა სხვა და სხვა საკითხი დრეიფუსის საქმის სასამართლოში წარმოების წეს-რიგის შესახებ.

8 აპრილი

**პარიჟი.** მაღნების პატრონებთან მორიგებისა გამო მაღაროების მუშებმა შეთქმულობას თავი დაანებეს.

ჟიულ ლემეტრი თითონ იცავს თავისს თავს, აბრალებს-რა წესდებას და ლიგის მოქმედებას. სხვების სიტყვების შემდეგ ხუთი ბრალდებული დაჯარიმებულ იქმნა 16 ფრანკით.

**მადრიდი.** მანილიდგან მოსულ ცნობებით, ერთი გამოქცეული ესპანიელი ტყვე ლაპარაკობს, რომ მეამბოხეთ აქვთ 50,000 თოფი და 200 ზარბაზანიო. ყუმბარებიც საკმაოდ ჰქონიათ; შიგ ქვეყანაში მშვიდობიანობაა; სოფლებში მუშაობა თავისს რიგზე და წესზე მიდის; სანოვაგე ბლომად არის.

პეტერბურგის ბირჟა, 6 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 217 |
| $3^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $95^5/_8$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | $100^3/_4$ | — „ |
| $4^1/_2$% იმავე ბანკისა | — „ | 100 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $99^3/_4$ | — „ | — „ |
| $4^1/_2$% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 98 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $285^3/_4$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | 252 | — „ | — „ |

# ბ ა ლ ა ნ ს ი

ქუთაისის მიხეილის სახელობაზედ დაარსებულ სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა

1899 წლის 1 იანვრისათვის

### ა ქ ტ ი ვ ი.

| | მ ა ნ. | კაპ. | მ ა ნ. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასაში ნაღდი ფულია . . . | — | — | 26,510 | 21 |
| მიმდინარე ანგარიშთა რაოდენობა: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ტფილისში . . . | 239 | 27 | | |
| ბ) ტფილისის საკომერციო ბანკში. | 379 | 77 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . . | 13,288 | 83 | | |
| დ) კორესპონდენტებთან . . | 242,898 | 49 | 256,806 | 36 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . | — | — | 30 | „ |
| სახელმწიფო %% იანი ქაღალდები შენახული სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ტფილისში: | | | | |
| ა) გირავ. ფურც. გამოცემის უზრუნველ საყოფელად (§ 50 წესდებისა) . . (220,000) | 203,704 | 02 | | |
| ბ) გირ. ფურც. და კუპონების გამოსასყიდად . (50,000) | 46,924 | 89 | | |
| გ) სათადარიგო თანხისა. (90,600) | 86,150 | 78 | 336,779 | 69 |
| დანარჩენი ფასიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) ბანკის საკუთრებანი. (57,800) | 56,754 | 69 | | |
| ბ) სათადარიგო თანხისა (5,800) | 5,695 | 71 | 62,450 | 40 |
| %% სახელმწიფო % ქაღალდების 1899 წლის 1 იანვრამდე. | — | — | 4,636 | 80 |
| გასაცემად დ ნიშნული სესხი . . | — | — | 24,600 | „ |
| სესხი: ა) მიწის გირავნობაში მისაცემი . . . . . . | 1.340 749 | 71 | | |
| ბ) ქალაქის მამულებისა . . | 1.554,823 | 73 | | |
| გ) მოკლე ვადიანნი . . . | 285,546 | „ | 3 181.119 | 44*) |
| გარდასახადი მსესხებლებზედ: | | | | |
| ა) შელავათიანი. ხანგრძლივის სეხით . | 122,754 | 40 | | |
| შელავათიანი. მოკლე ვადით . . | 12,475 | 13 | | |
| ბ) ვადას გადაცილებული. ხანგრძლ. სესხით . | 71,197 | 84 | | |
| ვადას გადაცილებული. მოკლე ვადიანი . | 6,327 | 87 | | |
| გ) ჯარიმა . . . . . | 5.292 | 41 | 218,047 | 68 |
| აღებულის სესხის ნაღდის ფულით გარდახდა . . . . . | — | — | 53,268 | 05 |
| ვადამდის გარდახდილი ფული კუპონებით. . . . . . | — | — | 1,644 | 50 |
| გარდახდილი ფული ტირაჟში გამოსულ გირავნობ. ფურცლებით . . | — | — | 9,500 | „ |
| სხვა-და-სხვა მოვალენი . . . | — | — | 5,628 | 72 |
| დასაბრუნებელი ხარჯი: | | | | |
| ა) მსესხებლებისაგან . . . | — | — | 9,083 | 71 |
| ბ) სასამართლოს საქმეებისა . . | — | — | 1,327 | 61 |
| მოწყობა მომავლისთვის ხარჯი . . | — | — | 1,213 | 23 |
| მართვა-გამგეობის ხარჯი. . . | 499 | 45 | | |
| არა-ჩვეულებრივი. . . . | 1,944 | 41 | 2,443 | 86 |
| 5% გარდასახადი მოგებისა . . | — | — | 3,138 | 84 |
| ორჯელ ათის წლის საკუპონე ფურცლები. . . . . . | — | — | 10,536 | „ |
| გირავნობის ფურცლების ტალონები . | — | — | 81,800 | „ |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | — | — | 4.289,965 | 10 |

### პ ა ს ს ი ვ ი.

| | მ ა ნ. | კაპ. | მ ა ნ. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| საერთოდ გამოღებული თანხა . | 600,052 | 15 | | |
| სათადარიგო თანხა . . . | 98,943 | 96 | 698,996 | 11 |
| გამოსაცემი გირავნობის ფურცლები $48^8/_{12}$ წ. | 16,500 | „ | | |
| $36^4/_{12}$ წ. | 7,500 | „ | | |
| $19^{11}/_{12}$ წ. | 600 | „ | 24,600 | „ |
| გირავ. ფურც., რომლებიც უკვე წარმოებაშია $48^8/_{12}$ წ. | 575,600 | „ | | |
| $36^4/_{12}$ წ. | 758,100 | „ | | |
| $43^1/_2$ წ. | 779.000 | „ | | |
| $18^7/_{12}$ წ. | 138,400 | „ | | |
| $12^{11}/_{12}$ წ. | 697,200 | „ | 2.948,300 | „ |
| თავნის გასასტუმრებელი ფონდი $48^8/_{12}$ წ. | 1,885 | 12 | | |
| $43^1/_2$ წ. | 6,016 | 64 | | |
| $18^7/_{12}$ წ. | 13,664 | 17 | | |
| $19^{11}/_{12}$ წ. | 15,383 | 10 | | |
| $36^4/_{12}$ წ. | 4.251 | 23 | 41,200 | 26 |
| სარგებლის ფონდი 6% სესხ. | 27,522 | „ | | |
| სარგებლის ფონდი 5% „ | 50,772 | 50 | 78,294 | 50 |
| მომავალში გარდასახდელია . . | — | — | 32 | 12 |
| გასაცემად გადადებული თანხა: | | | | |
| ა) გირავნობის ფურც., რომლებიც ტირაჟში გამოვიდნენ . . | — | — | 232,900 | „ |
| ბ) გირავნობის ფურცლის გარდასახდელი კუპონები . . . . | — | — | 80,575 | „ |
| ვადამდე მოსას. დანიშ. სესხნი ნაღდის ფულით $43^1/_2$ წ. | 1,132 | „ | | |
| $18^7/_{12}$ წ. | 983 | 48 | | |
| $48^8/_{12}$ წ. | 5,015 | 57 | | |
| $19^{11}/_{12}$ წ. | 1,528 | 73 | | |
| 36 წ. | 3,408 | 01 | 12,067 | 79 |
| 5% სახელმწიფო გარდასახ. კუპ. | — | — | 85 | 42 |
| მოკლე ვადიან სესხთა სარგებელი | 13,901 | 38 | | |
| წლიური შესატანი გამგეობის ხარჯის შესავსებლად, საზოგადო საჭიროებათა შესადგენ თანხისათვის და სხვ. . . . . . . | 17,365 | 50 | 31,266 | 88 |
| გარდამავალნი ჯამნი . . | — | — | 6,410 | 98 |
| სხვა და სხვა მსესხებელნი . . | — | — | 4,735 | 42 |
| ცეცხლისაგან დაზარალებულთა დასაჯილდოვებლად. . . . | — | — | 16 | 58 |
| შესაკვლელ კუპონების ფურცლები | — | — | 10,536 | „ |
| გირავნობის ფურცლების ძველი გასაუქმებელი ტალონები. . . | — | — | 81,800 | „ |
| წმინდა მოგება 1898 წლისა. . | — | — | 38,148 | 04 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | — | — | 4.289,965 | 10 |

შენიშვნა: %% ქაღალდ. ბანკის კასსაში და კორესპონდ. 88,200— „

შესანახად გამოცემ. გირავნ. ფურც. 20,900 — „

*) ამ რიცხვში ბანკზედ დარჩენილ მამულებისა: მიწა-ადგილისა 133,648—79; ქალაქისა 19,151—21

Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Апрѣля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.